დანართი 1

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ლოგოს ნიმუში

ლოგო წარმოადგენს - გარემოს 5 კომპონენტს - მიწა და ატმოსფერო (რკალის სახით), რომელთა შორის მოქცეულია წყალი, წიაღი და მცენარეული სამყარო. რკალი ასევე გამოხატავს დაცვას, იქ სადაც არის ღია არეალი (საფრთხე), გამოისახება წარწერა ,,გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი".

დანართი 2

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმლის (უნიფორმის) ნიმუში

მუხლი 1. „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (შემდგოში – დეპარტამენტი) თანამშრომლის განმასხვავებელი ნიშნების მქონე სპეციალური ტანსაცმელის (უნიფორმის) ნიმუშები:

1. მამაკაცის ყოველდღიური ზამთრის ფორმა:

ა) შარვალი – ხაკისფერი (სურ.1);

ბ) ქურთუკი – ხაკისფერი კომბინირებული რუხ (ნაცრისფერ) ფერთან, კაპიუშონით (სურ. 1);

გ) პულოვერი - თეთრი, რუხი (ნაცრისფერი) (სურ.4).

2. მამაკაცის ყოველდღიური საგაზაფხულო და საშემოდგომო ფორმა:

ა) შარვალი – ხაკისფერი (სურ.2);

ბ) ქურთუკი – ხაკისფერი კომბინირებული რუხ (ნაცრისფერ) ფერთან (სურ. 2);

გ) პულოვერი - თეთრი, რუხი (ნაცრისფერი) (სურ. 4);

დ) ქუდი – თეთრი ფერის, წინაფრიანი, კომბინირებული რუხ (ნაცრისფერი) ფერთან (სურ. 5).

3. მამაკაცის ყოველდღიური საზაფხულო ფორმა:

ა) შარვალი – ხაკისფერი (სურ. 3);

ბ) პერანგი – ხაკისფერი კომბინირებული რუხ (ნაცრისფერ) ფერთან (სურ. 3);

გ) ჟილეტი - მცვანე ფერის, რუხი (ნაცრისფერი) ზოლებით (სურ. 3);

დ) მაისური - თეთრი, რუხი (ნაცრისფერი) (სურ. 4);

ე) ქუდი – თეთრი ფერის, წინაფრიანი, კომბინირებული რუხ (ნაცრისფერი) ფერთან (სურ. 5).

4. მამაკაცის ქურთუკის წინა (მკერდის) მარცხენა მხარესა და ქურთუკის მარჯვენა მკლავზე გააჩნია დანაკერი, რომელზეც გამოსახულია დეპარტამენტის ლოგო.

5. მამაკაცის ჟილეტის წინა (მკერდის) მარცხენა მხარეს ჯიბის თავზე და უკანა მხარეს, ასევე მამაკაცის პერანგის მარცხენა მკლავზე გააჩნია დანაკერი, რომელზეც გამოსახულია დეპარტამენტის ლოგო და სიტყვები „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი“.

6. მამაკაცის მაისურის წინა და უკანა მხარეს, პულოვერის წინა მხარეს, ასევე მამაკაცის ქუდს გააჩნია დანაკერი, რომელზეც გამოსახულია დეპარტამენტის ლოგო და სახელწოდება ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე.

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

7. ქალის ყოველდღიური საზაფხულო, საგაზაფხულო და საშემოდგომო ფორმა (სურ. 6):

ა) ქვედა ბოლო – შავი ფერი, მუხლის ქვემოთ სიგრძის;

ბ) პერანგი – თეთრი ფერი;

გ) პიჯაკი – შავი ფერი.

8. ქალის პიჯაკისა და პერანგის წინა (მკერდის) მარცხენა მხარეს, ჯიბის თავზე, გააჩნია დანაკერი, რომელზეც გამოსახულია დეპარტამენტის ლოგო.

მუხლი 2. ყველა უნიფორმისათვის გათვალისწინებულია შავი ფერის ფეხსაცმელი, ზამთარში – მაღალყელიანი შავი ფერის ფეხსაცმელი.

მუხლი 3. დეპარტამენტის ის თანამშრომლები, რომლებიც ვალდებულნი არიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იმყოფებოდნენ ამ ბრძანებით გათვალისწინებულ სპეციალურ ტანსაცმელში (უნიფორმაში), განისაზღვრება დეპარტამენტის უფროსის მიერ.

დანართი 3

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლის სამსახურებრივი პირადობის მოწმობის ნიმუში



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ლუქის ნიმუშები

1. ლუქი №1 იძლევა სწრაფი დალუქვის საშუალებას, ლუქი №1-ის ტექნიკური მახასიათებლებია:

ა) მასალა: პოლიპროპინელი ან პოლიეთილენი;

ბ) ზომები: საერთო სიგრძე – 346 მმ;

გ) სამუშაო სიგრძე – 260 მმ;

დ) ლენტის დიამეტრი – 2 მმ;

ე) მარკირება: შვიდნიშნა ან ცხრანიშნა ციფრით;

ვ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი და ყვითელი.

ლუქი №1

2. დანომრილი თვითწებადი ლუქი №2-ის გახსნის შემთხვევაში მასზე ჩნდება ინდიკატორული წარწერა ,,OPENED", რომელიც მეორადი დაწებებისას არ იკარგება. ლუქზე შესაძლებელია დაწებების თარიღის და ხელმოწერის აღნიშვნა ბურთულიანი კალმით. ლუქი №2-ის ტექნიკური მახასიათებლებია:

ა) მასალა: პოლიეთილენი;

ბ) ზომები: 20მმ X 60მმ ან 10მმ X 30მმ;

გ) მარკირება: ექვსნიშნა ციფრით.

ლუქი №2

3. ლუქ №3-ს აქვს ჩამკეტი და დაცვის რამდენიმე ხარისხი. ლუქი №3-ის ტექნიკური მახასიათებლებია:

ა) მასალა: გამჭვირვალე აკრილი;

ბ) მარკირება: შვიდნიშნა ციფრით, რომლის ბოლო სამი ციფრი დუბლირდება ჩამკეტ ნაწილზე;

გ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი, ყვითელი, შავი, რუხი.

ლუქი №3



4. ლუქი №4 წარმოადგენს ჩამკეტ-დასალუქი მოწყობილობის მქონე მინიატურულ-ტროსიანი ლუქის სახეობას. მას აქვს ჩასახრახნი ელემენტი, რომლის მეშვეობითაც ხდება ლუქის ჩაკეტვა, რომლის შემდეგაც ეს ჩასახრახნი ელემენტი ტყდება. ლუქი №4-ის ტექნიკური მახასიათებლებია:

ა) მასალა: ლუქის კორპუსი – ალუმინის შენადნობი;

ბ) ტროსი – მოთუთიავებული ფოლადი;

გ) მარკირება: ექვსნიშნა ციფრით;

დ) ფერები: ლურჯი, მწვანე, წითელი, ყვითელი, შავი.

ლუქი №4